



შირაკი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან

დადოვლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№7 (9.966)

13-20 მარტი 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

საქართველოს სახელმწიფო გამომცემი

ვაქცინა: სარგებლობა თუ რისკი?!

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის, ეკატერინე ტიკარაძის განცხადებით, საქართველოში კორონავირუსის საინფორმაციო ვაქცინის პირველი პარტია დაგეგმილზე ერთი კვირით ადრე, 13 მარტიდან შემოვა. ამის შესახებ მინისტრმა ბრიფინგზე განაცხადა. მისივე ინფორმაციით, ვაქცინების შემოტანა ქვეყანაში ეტაპობრივად მოხდება.

„დღეს ჩვენ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოში ვაქცინა შემოვა დაჩქარებული ტემპით. თარიღმა გადმოინა ერთი კვირით. ჩვენ გვაქვს დადასტურებული ინფორმაცია, რომ შაბათიდან საქართველოში გვექნება ვაქცინების ეტაპობრივი მიწოდება. კიდევ ერთხელ მინდა დავადასტურო ძალიან დიდი მადლიერება კომპანიების მიმართ და ასევე ჯანდაცვის სამინისტროს ყველა იმ თანამშრომლის მიმართ, რომლებიც ჩართულნი არიან 24-საათიან რეჟიმში ვაქცინის მოწოდების პროცესში და ძალიან დიდ სამუშაოს სწვენ ამ მიმართულებით“, - განაცხადა ეპატარინი ტიკარაძემ.

მინისტრის განმარტებით, 13 მარტიდან ქვეყანაში თავდაპირველად „ასტრაზენეკას“ ვაქცინა შემოვა. მინისტრის განცხადებით, პირველ ეტაპზე 43 200 ადამიანი აიცრება, ხოლო მათი განმეორებითი აცრა მას შემდეგ მოხდება, რაც „ასტრაზენეკას“ დამატებითი დოზები ქვეყანაში შემოვა. „მას შემდეგ რაც ტვირთი იქნება საქართველოს ტერიტორიაზე და ამასთან დაკავშირებით ინფორმაციას ხვალ და ზეგ მოგანვლით. მოხდება მისი უსაფრთხო ტრანსპორტირება შესაბამის დანერგვაში, სადაც ვაქცინაცია იგეგმება. დალოდება „ფაიზერთან“ არ მოხდება, ვინაიდან ეს ორი პროცესი ერთმანეთთან დამოუკიდებლად უნდა წარიმართოს. „ასტრაზენეკას“ შემთხვევაში აცრილი იქნება 43 200 ადამიანი, მეორე დოზით ისინი აიცრებიან მას შემდეგ რაც მივიღებთ დამატებით „ასტრაზენეკას“ დოზებს. ეს ასევე შეთანხმებულია საბჭოსთან. გვაქვს დროის მონაკვეთი, როდესაც გარანტირებულად შემოვა მეორე ვაქცინა. ეს მოგვეცემს იმის საშუალებას, რომ დროულად და დაჩქარებულ რეჟიმში შეგვიძლია ავცრათ უფრო მეტი რაოდენობა მოქალაქეების და ჩვენი ექიმების. ჩვენ გვაქვს 6-დან 12-კვირამდე ვადა იმ აღნიშნული პროტოკოლით, რითაც ხდება „ასტრაზენეკით“ ვაქცინაცია, შესაბამისად, გარანტირებული მოლაპარაკებებით, რომელიც გამართულია, ჩვენ გვაქვს იმის დასტური, რომ მოესწრება მეორე დოზის შემოტანა“, - განაცხადა ტიკარაძემ.

„ერთი სული გვაქვს, სამედიცინო პერსონალი როდის ავიცრებით, ძალიან დიდი პოზიტიური მოლოდინები გვაქვს“, - ასე ეხმაურება ანესტეზიოლოგისა და კრიტიკული მედიცინის ასოციაციის დამფუძნებელი, ექიმი მსხტანბ კალონიანი 13 მარტიდან საქართველოში კორონავირუსის საინფორმაციო ვაქცინის პირველი პარტიის მიღების შესახებ ინფორმაციას. როგორც ვახტანგ კალონიანი აცხადებს, ვაქცინაცია უსაფრთხო და პანდემიის შეჩერების ერთადერთი გამოსავალია. „ვაქცინა უსაფრთხო და ეფექტურია. მნიშვნელოვანია ამ პროცესის კარგი ორგანიზება. ტექნიკური საშუალებები ჩატარებულია, დარწმუნებული ვარ, ჩვენ შევძლებთ ამ პროცესის უსაფრთხოდ ჩატარებას. ძალიან მნიშვნელოვანია ხელისუფლებამ სწორად და თანმიმდევრულად იმუშაოს მოქალაქეებთან, სპეციალურ, განსაკუთრებულ ჯგუფებთან, მაგალითად, როგორც არის ექვსთა. დავარწმუნოთ ჩვენი მოქალაქეები, რომ ვაქცინაცია უსაფრთხო და პანდემიის შეჩერების ერთადერთი გამოსავალია. კარგი იქნება, თუ ხელისუფლება საჯარო გახდის ყველა იმ დასკვნას, რომელიც შეეხება ამ კონკრეტული ვაქცინის ჯგუფებს, რათა მოქალაქეები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ ვაქცინის ეს პარტია უსაფრთხოა, წარმოებულია სანდო ქვეყანასა და ფარმაცევტულ დანერგვაში. თუმცა დღევანდელი ცნობილი გახდა, რომ ასტრია, ესტონეთი, ლიეტუვა, ლუქსემბურგი და ლატვია „ასტრაზენეკას“ გამოყენებას აჩერებს. ასეთი გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც 4 ადამიანი ვაქცინის მიღების შემდეგ სისხლის შედეგების საშიში მდგომარეობა დაუდგინდა. მისი თქმით, ვაქცინაციის დაწყების ყველა დღესა და საათს მნიშვნელობა აქვს, მით უფრო, რომ საქართველო ევროპის რუკაზე იმ ძალიან ცოტა ქვეყანას შორის იყო, სადაც ვაქცინაცია დაწყებული არ იყო.“

„ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და მთელი მსოფლიო ჩართულია ამ ვაქცინაციის პროცესში. მესამე მსოფლიო ომადაც კი იხსენიებენ ამ თემას ვაქცინების მოპოვებასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, პანდემიის დამარცხება ეთიოპოპული წამლისა და ვაქცინაციის გარეშე რთულად წარმოსადგენია. შესაბამისად ვაქცინაცია არის წინა პირობა იმისა, რომ მსოფლიო სრულფასოვან ცხოვრებას სრულად თუ არა ნაწილობრივ მაინც დაუბრუნდეს. გაიხსნას ქვეყნების ეკონომიკა და საზღვრები. მოგვეცეს უსაფრთხო მოგზაურობისა და საქმიანი შეხვედრის შესაძლებლობა. ყოველთვის ვამბობდით, რომ ვაქცინაციის დაწყების თვითოეულ დღეს და თვითოეულ საათს მნიშვნელობა აქვს, იმიტომ, რომ მსოფლიოში 131 ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობს ვაქცინაციის პროცესი და 300 მილიონზე მეტი ადამიანი უკვე აცრილია. ჩვენთვის ძალიან გულდასაწყვეტია ის ფაქტი, რომ ევროპის რუკაზე იყო ძალიან ცოტა ქვეყანა დარჩენილი, რომელსაც ვაქცინის ერთი დოზაც კი არ ჰქონდა გამოყენებული. ახლა საქართველო შეუერთდება იმ ყვეყნების რიგს, სადაც ვაქცინაცია დაწყებულია“. — ამბობს კულუმბეგოვი „ფორტუნასთან“ საუბარში. კულუმბეგოვი აღნიშნავს ასევე, რომ „ვაქცინა ყველა მსურველის არსებობის შემთხვევაშიც ყველა მსურველისთვის ვერ იქნება. საყოველთაო პრაქტიკულად არც ერთ ქვეყანას არ აქვს. ვაქცინა დასაწყისში პრიორიტეტული ჯგუფებისთვისაა ხელმისაწვდომი. ეს პრიორიტეტული ჯგუფები ყველა ქვეყანაშია განსაზღვრული, რომელიც თითქმის ყველგან ერთმანეთს ჰგავს. საქართველოში როგორც ცნობილია ჯერ აიცრებიან მედიკოსები, შემდეგ ასაკოვანი ადამიანები. შემდგომ პრიორიტეტულ ჯგუფებში შემოვა პოლიცია და ჯარი, შემდგომ იქნება მოსახლეობის ის სეგმენტი, რომელიც 60-დან 65 წლამდე ასაკის არიან, რომლებსაც ქრონიკული დაავადებები აქვთ. რა თქმა უნდა, ვაქცინაციის ეფექტი



არ იქნება პანდემიის დასრულება. ვირუსმა შეიძლება იმოძრაოს საზოგადოებაში და ეს შეიძლება ერთი წელიც კი გაგრძელდეს. მაგრამ თუ ჩვენ საავადმყოფოები გვექნება ცარიელი და სიკვდილიანობა იქნება ერთეული, ეს კარგი შედეგი იქნება. რა ვქნათ, ადამიანის ბუნება ასეა მოწყობილი. დაავადებამ შეიძლება, რომ ადამიანებს რაღაც დაუშვას. ამიტომ ვაქცინაციის საკითხი არის ძალიან მნიშვნელოვანი. ამას კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ძალიან გამიხარდა ვაქცინის შემოტანის ვადის გადმოწევა. რაც უფრო სწრაფად დაიწყება ვაქცინაცია, ეს იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი“. კულუმბეგოვის თქმით, ვაქცინაციის სანდოობა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. „ზოგიერთ ქვეყანაში ვაქცინის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულებაა. ზოგიერთ ქვეყანაში საზოგადოება დიდ სანდოობას უცხადებს ვაქცინაციას. ისრაელი არის სამაგალითო ქვეყანა, სადაც მოსახლეობის დიდმა ნაწილმა უკვე გაიკეთა ვაქცინაციის პირველი დოზა და 40 %-ზე მეტმა გაიკეთა მეორე დოზა. რა თქმა უნდა, ახლა ჩვენ სამუშაო გვაქვს და ადამიანებს უნდა აუფხსნათ და ფუთხრათ, რომ ვაქცინაცია კაცობრიობის მიღწევაა და მიუხედავად იმისა, რომ დროში ეს ვაქცინები უფრო სწრაფად შეიქმნა, კომპრომისი უსაფრთხოების სახით არ ყოფილა. ყველა ეტაპი გაიარა ვაქცინებმა, რასაც ათი წლის განმავლობაში გადიოდნენ ზოგადად სხვა ვაქცინები. უსაფრთხოების საკითხი არავის მიუფურჩევია. ამ ვაქცინებმა ყველა ეტაპი კარგად და სწორად გაიარეს, რა თქმა უნდა, ყველა ვაქცინა არაა მედიკამენტი და არ არსებობს მედიკამენტი გვერდითი მოვლენის გარეშე.“

სულ რაღაც 2 თვის განმავლობაში მსოფლიოში აიცრა 326 მილიონი ადამიანი. ადამიანები უკვდავები ხომ არ ვართ. ვიღაცას რაღაც დაავადებები ბუნებრივად ემართება. აქ საუბარია, რომ მეთვალყურეობა იყოს ისეთი, რომ აცრასა და აუცრელ ჯგუფებს შორის წინა წლებთან შედარებით სტატისტიკური სხვაობა არ მოგვეცეს. ჯერჯერობით აშშ-ში ჩატარებული 23 მილიონ დოზაზე მოხდა გვერდითი მოვლენების მონიტორინგი და ითქვა, რომ პლაცებო, ანუ რომელიმე დაავადების ხელშეწყობის გაზრდა, არ ყოფილა. აღუგვილი რეაქციები ვაქცინაზე შედარებით უფრო ხშირია, ვიდრე წინა ტრადიციულ ვაქცინებზე ვლინდებოდა ხოლმე, ანუ დაახლოებით 1 მილიონი დოზა ვაქცინიდან 5 აღუგვილი მძიმე რეაქცია გამოვლინდა. ადრე იყო მილიონიდან მხოლოდ ერთი. ეს ჩვეულებრივი პროცესია, შეიძლება არაა კორექტული შედარება, მაგრამ წელიწადში მინიმუმ 6-7 ავიაკატასტროფა ხდება, მაგრამ ამის გამო ავიაციის შეწყვეტა არავის გადაუწყვეტია. მესმის, თვითოეული ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ძალიან მნიშვნელოვანია. ერთბაშად ერთმა მილიონმა კაცმა „იბუპროფენი“ რომ დალიოს, იქედან დარწმუნებული ვარ, რაღაც პროცენტს სისხლის შედეგების პრობლემაც დაემართება და როცა ერთბაშად ამდენი ადამიანი იკეთებს აცრას, ბუნებრივია იქ პრობლემებიც გამოუვლინდება. ამით იმის თქმა მინდა, რომ გვერდითი მოვლენების გარეშე არაფერი არ არსებობს და პირველ რიგში ამას ჩვენ ვხვდებით, ექიმები“, — განმარტა კულუმბეგოვი.

რატომ გაჭიანურდა მესერის მშენებლობა?



მშ. 3

მშ.3 დედოფლისწყაროელი სამი პედაგოგი, ახალი სკოლის მოდელის შემაჯამებელ ფორუმზე, მოხსენებით წარსდგა

ზემო ქედში ტაძარი აშენდება



მშ. 2

სოფლის განვითარების და ღვინის ეროვნული სააგენტოს ახალი ინიციატივა

სოფლის განვითარების სააგენტოს და ღვინის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით დაფინანსებული სოფლებში ზემო ქედი, არხილოსკალო შეხვედრები გაიმართა. ფერმერებს მიენოდათ ინფორმაცია რთველი 2021 საორგანიზაციო საკითხების და განახლებული ექსტენციის (არაფორმალური განათლების პროცესი, რომელიც მოიცავს ფერმერთათვის შესაბამისი კონსულტაციებისა და ინფორმაციის მიწოდებას) შესახებ.

ფერმერებს უკლებლივ ყველა მუნიციპალიტეტში ცნობიერების ამაღლებისა და ციფრულ ტექნოლოგიებზე ნდობაში დაეხმარებოდნენ. სპეციალურად ამ მიზნით, კვირაში ერთხელ, გაიმართება შეხვედრები ფერმერთან, სადაც ისინი სპეციალისტების რეკომენდაციებს მოისმენენ, გაეცნობიან სადემონსტრაციო ფერმებს და ნაკვეთებს, მიიღებენ კვალიფიციურ ცოდნას, რომელიც საკუთარი მეურნეობების გაძლიერებაში დაეხმარათ. ამ და სხვა საჭირო ღონისძიებებს ემსახურება განახლებული სასოფლო-სამეურნეო ექსტენცია.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართული ღონისძიების ფარგლებში, ხელი მოეწერა შეთანხმებას ბენეფიციარ ფერმერებსა და სოფლის განვითარების სააგენტოს შორის. ბენეფიციარები მზად არიან, ცოდნა და გამოცდილება გაუზიარონ ფერმერებს, ხოლო მათი მეურნეობები გამოიყენონ სადემონსტრაციოდ.

სასოფლო-სამეურნეო ექსტენცია, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სოფლის განვითარების სააგენტოს 9 რეგიონული სამსახურისა და 45 საინფორმაციო-სა-

კონსულტაციო მუნიციპალური ცენტრის საშუალებით ხორციელდება.

„დღეს ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს რეგიონული სამსახურები დროის ძალზე მოკლე პერიოდში, თუ როგორ შეიძლება აღიჭურვოს მოძრავი ლაბორატორიები, როგორ შეიძლება ექსტენციის მომსახურება გამოირჩეოდეს თავისი შესაძლებლობებით და რომ, პრაქტიკულად, ფერმერის კართან გადაწყდეს ფერმერის პრობლემა“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ გიორგი ხანიშვილმა.

სოფლის მეურნეობაში ცოდნის ამაღლების მნიშვნელობაზე ისაუბრა გაეროს განვითარების პროგრამისა ხელმძღვანელმა, ლუიზა ვინტონმა.

„ცოდნა მთავარია იმისთვის, რომ სოფლად შემოსავლები გაიზარდოს, ხოლო სოფლის მეურნეობა მაღალი ღირებულების მქონე სექტორად გარდაიქმნას. ჩვენი ხელშეწყობის შედეგად, ექსტენციის სისტემაში ციფრული ხელსაწყოები დაინერგება, რაც შესაძლებლობას მისცემს ყველა ფერმერს, მათ შორის შორეულ რეგიონებშიც, დროულად მიიღონ თანამედროვე ინფორმაცია“, - აღნიშნა მან.

სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის რეგიონული დირექტორის, დანიელ მევის განცხადებით, შვეიცარია მოხარულია, ხელი შეუწყოს საქართველოში ძლიერი სოფლის მეურნეობის ჩამოყალიბებას, რომელიც ბაზრის მოთხოვნების, მდგრადი განვითარებისა და გარემოსდაცვითი პრინციპების შესაბამისად უნდა განვითარდეს. როგორც მან აღნიშნა, განათლებული და ინფორმირებული ფერმერი ამ რეფორმის მთავარი დასაყრდენია.

უფრო ვრცლად, თუ რას ეხება განახლებული ექსტენცია და რაში დაეხმარება ის ფერმერებს, „ბიზნეს-რეზონანსს“ სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლაშა შალამბერიძე

ისაუბრა. როგორც მან განმარტა, განახლებული ექსტენციის ძირითადი მიმართულებები მოიცავს დარგობრივი ცოდნის გაზიარებას და აგრარული მიმართულებით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდას.

„მნიშვნელოვანი ისახლე, რასაც ვთავაზობთ, პირველ რიგში, ეს არის, განათლება სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებით, ციფრულ ტექნოლოგიებზე ნდობა, მომსახურება და სოფლის საჭიროებებზე ოპერატიულად რეაგირება. შევიქმნავეთ გეგმა, რომლის თანახმადაც, ყოველ პარასკევს სხვადასხვა სოფელში იგეგმება ტრენინგები ყველა მუნიციპალიტეტში, სადაც მოსახლეობას ეგზავნება შეტყობინება 24 საათით ადრე, შეხვედრა განხორციელდება სხვადასხვა თემატიკასთან დაკავშირებით დარგობრივ თემებზე. ჩვენი ექსტენციის თანამშრომლები სოფელ-სოფელ ივლიან და საჭიროებებს ადგილზე გაეცნობიან, რაზეც შემდეგში რეაგირებას მოვასწავნებთ. ფერმერები საშუალება ეძლევათ, ისარგებლონ ელექტრონული ბიბლიოთეკით (elibrary.mepa.gov.ge) და სადემონსტრაციო ნაკვეთების ერთიანი ქსელის მონაცემებით“, - აღნიშნა ლაშა შალამბერიძემ.

გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებშივე, ადგილზე შეისწავლიან ფერმერის საკარმიდამო ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, რის საფუძველზეც ფერმერები ფიტოსანიტარებისგან ავტომატურად მიიღებენ რეკომენდაციებს, როგორ მოუარონ ამა თუ იმ მცენარეს. გარდა ამისა, იმუშავენ ელექტრონული პლატფორმა, სადაც ფერმერს შეუძლია დარეგისტრირდეს, გამოიწეროს სიახლეები, მათ შორის, სამეცნიერო ნაშრომები.

„აპრილიდან, ჩვენ თვეში ორჯერ, სამშაბათობით, ფერმერებს გავაცნობთ სადემონსტრაციო ნაკვეთებს. ისინი საკუთარი თვალთა ნახავენ ნარმატების მაგალითებს და თეორიულ ცოდნასთან



ქართულმა ღვინომ იაპონიაში 13 ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი დაიმსახურა

სხვადასხვა დასახელების ქართულმა ღვინომ პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსზე „საკურა“ 13 ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი დაიმსახურა. წელს საკონკურსო ღვინოები 186-მა იაპონელმა ქალბატონმა შეაფასა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, „საერთაშორისო კონკურსი Sakura Award მასშტაბური ღონისძიებაა, რომელიც წელს მერვედ ჩატარდა. მასში 32 ქვეყნის 4 000-ზე მეტი სხვადასხვა დასახელების ღვინო იყო წარმოდგენილი. კონკურსის ფიური დაკომპლექტებული იყო იაპონიაში ღვინის სფეროში მოღვაწე ქალებით — სომელიეებით, მწერლებითა და ჟურნალისტებით.

წელს საკონკურსო ღვინოები 186-მა იაპონელმა ქალმა შეაფასა. იაპონია ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტო მარკეტინგულ აქტივობებს 2014 წლიდან ახორციელებს. 2021 წლის მსგავსად, გასულ წლებში სხვადასხვა ქართულ ღვინოს „საკურას“ კონკურსზე არაერთი უმაღლესი ჯილდო აქვს მოპოვებული“, — ნათქვამია ინფორმაციაში.

როგორც ღვინის ეროვნული სააგენტოში აცხადებენ, მსგავს პრესტიჟულ კონკურსებში გამარჯვება ხელს შეუწყობს როგორც კონკრეტული კომპანიის, ისე, ზოგადად, ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას, პოპულარიზაციასა და დამკვიდრებას იაპონიის ღვინის ბაზარზე.

შვედი დიპლომატი საქართველოშია

„ჩემი მთავარი პუნქტი, საიდანაც ვინცებო, მოსმენაა“, - ამის შესახებ საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის პირადმა წარმომადგენელმა, კრისტიან დანიელსონმა ჟურნალისტებს განუცხადა. მან იმედი გამოთქვა, რომ ხელისუფლების, ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრები ნაყოფიერი იქნება.

„ჩვენ ძალიან ნაყოფიერად, სრული ჩართულობით უნდა ვიმუშავოთ ამ დღეების განმავლობაში იმისთვის, რომ ამ მედიაციამ შედეგი გამოიღოს. ჩემი მთავარი პუნქტი, საიდანაც ვინცებო, მოსმენაა. დილით უკვე შევხვედი პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს, დღის განმავლობაში შევხვედები სამოქალაქო საზოგადოებისა და ასევე, პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებს. მერე ვნახავთ, როგორ შეგვიძლია, რომ პროცესი წინ წავიდეს“, - განაცხადა დანიელსონმა. მისი თქმით, შეხვედრების ფარგლებში განიხილება პოლიტიკატივების, მართლმსაჯულებისა და საარჩევნო რეფორმის საკითხი. „საარჩევნო რეფორმა და პოლიტიზირებული მართლმსაჯულება ეს ის საკითხებია, რომელზეც უნდა ვიმსჯელოთ, რომელიც განსჯის საგანია. მზად ვართ, რომ ამ დღეებში ამ საკითხებზე ვიმუშავოთ“, - განაცხადა დანიელსონმა.

დანიელსონის ვიზიტის მიზანია, ჩაერთოს პრეზიდენტ შარლ მიშელის მიერ პირველ მარტს ინიცირებულ, განახლებულ პოლიტიკურ დიალოგში, მასში მონაწილე ყველა პარტიის ლიდერთან ერთად. ამასთან, დანიელსონი ოპოზიციურ პარტიებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს გამართავს.

ზემო ქედში ტაძარი აშენდება

9 მარტს ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ სოფ.ზემო ქედში აკურთხა წმ.გიორგის სახელობის ტაძრის საფუძველი.

ზემო ქედში, ამ ადგილას, ერთი წლის წინ, არჩილ მიდელაშვილის იდეით და მისი მეგობრების დახმარებით, ქაშვეთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის პროექტი და მკეტი შედგა. ამ ადგილას აღიმართა ჯვარი, რომელიც არჩილმა ნიჩბიდან ჩამოტანილი ქვებით ააგო. ეს ჯვარი ამაყად გადასცქერის ალაზნის ველს და ისტორიულ ჰერეთში იძულებით დატოვებული ტაძრებისა და თანამემამულეებისკენ თანაბრად იყურება.

არჩილ მიდელაშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა, მაგრამ მის მიერ დაწყებული საქმე გრძელდება. „აჩი, ეს შენი დღესასწაულია, ახლა ვიცი, რომ მშვიდად განისვენებ, ძმაო!“ - ასე ეხმაურება არჩილის და-სალომე მიდელაშვილი ტაძრის საძირკვლის კურთხევას.



რატომ გაჭიანურდა მესერის მშენებლობა?

ბეჭა 10 წლისაა. ის ქ. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლაში სწავლობს. სკოლის ქუჩა მისთვის უმოკლესი მანძილია სახლსა და სკოლას შორის. მას შემდეგ, რაც ეს გზა გადათხარეს, რათა ამორტიზირებული და დრო-ყამისგან ჩამოშლილი მესერი ახალი, თანამედროვეთი ჩაენაცვლებინათ, მას დისკომფორტი შეექმნა. ეს განსაკუთრებით ნვიძიან და თოვლიან ამინდშია შესამჩნევი.

ორი დღის წინ, მეც ზუსტად ის გზა გამოვიარე, რომელ გზასაც სკოლის ქუჩისკენ მიმავლები, რამდენიმე თვეა, გადიან. წინა დღით მოსულმა ნაღვე-მა ეს გზა აატალახა. მეც გაჭირვებით მივიკვლევდი გზას. „ბიჭო, ნახე, ფეხები როგორ დამიმძიმდა“-ამბობდა ერთი, სკოლიდან მომავალი. ასეთივე გაჭირვება ედგათ მის თანატოლებსაც.

ჩემს უკან მომავალ მოხუცებულს ფეხი დაუცდა და დროზე ხელი რომ არ შემეშველებინა, თხრილში ჩავარდებოდა. „რამდენი ხანია, ამ გზაზე ეს მდგომარეობაა. რით ველარ გააკეთეს? გვიჭირს მოხუცებულებს ამ გზაზე სიარული, მა-

გრამ გზის შემოვლითი ნაწილი მანძილს მიორმაგებს. მე კი ფეხები მტკივა და სიარული მიჭირს. ამიტომ ისევ ამ გზაზე სიარული მირჩევნია. ახლაც აფთიაქში მივდივარ, ნამალი უნდა ვიყიდო“-განაცხადა მოხუცებულმა ქალბატონმა.

რატომ გაჭიანურდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ცენტრში, სახანძრო-სამაშველო სამსახურის ახალი მესერის მშენებლობის პროცესი? ამ კითხვით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს მივმართეთ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი დედოფლისწყაროელებს ბოდიშს უხდის გზის ამ მონაკვეთზე შექმნილი დისკომფორტის გამო და სამუშაოების გაჭიანურების მიზეზს განმარტავს:

-მოგეხსენებათ, რომ ეს ადგილი პირველადი ჯანდაცვისა და სახანძრო დაცვის სამსახურთან მდებარეობს და ქალაქის ცენტრს წარმოადგენს. მისი ამორტიზებული მესერი კრიტიკას ვეღარ უძლებდა. გადავწყვიტეთ, რომ ქა-



ლაქის ცენტრიც უნდა გაგველამაზებინა. 2020 წლის გაზაფხულზე გამოცხადდა ტენდერი, რომელიც შედგა და გამარჯვებულმა კომპანიამ დაიწყო სამუშაოების განხორციელება, თუმცა, მან ვერ შეძლო ამ სამუშაოების დასრულება. როგორც კომპანიის ხელმძღვანელობამ განაცხადა, შეექმნა კოვიდპანდემიისგან გამონვეული ფინანსური კრიზისი. მას შემდეგ, რაც ყველა გონივრული ვადა ამოიწურა, შეჩერებულ სამუშაოებზე ლოდინის რეჟიმი და ხელშეკრულებაც ინურებოდა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება და აღნიშნულ კომპანიას შეუნყვიტა ხელშეკრულება. მოგეხსენებათ, რომ ყველა მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტს სჭირდება ტენდერი. ამიტომ ხელახალი ტენდერი გამოვაცხადეთ. ტენდერი შედგა და გამოვლინდა გამარჯვებული, საკმაოდ კარგი კომპანია- შპს „სუხო“, რომელმაც დედოფლისწყაროში შარშან ე.წ. მიკრო რაიონის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები წარმატებით განახორციელა. ამ კომპანიამ დაიწყო მუშაობა და როგორც

ჩვენი მოსახლეობაც შენიშნავდა, სამშენებლო სამუშაოების დიდი ნაწილი უკვე შესრულებულია. ამ ლამაზი კედლის გარდა იქნება დეკორატიული რკინის მესერიც, რომელიც უკვე გამოხატული და ჩამოტანილია და მისი დამონტაჟება ამინდის გაუმჯობესებისთანავე მოხდება. სამუშაოების დასრულების შემდეგ ასევე მოხდება გზის მოასფალტება და შპს პირებისთვის პანდუსების მოწყობა “-აცხადებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

ბაზაში „შირაქთან“ სატელეფონო საუბრისას შპს „სუხო“ სამუშაოების მწარმოებელი აცხადებს, რომ კედლის საშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შეჩერება არასახარბიელო კლიმატურმა პირობებმა შეაფერხა. საშენებლო პროცესი ასეთ ამინდში გამოინდობს სამუშაოების უხარისხოდ შესრულებას. ამინდის გაუმჯობესებისთანავე გაბრძოლებულა მშენებლო და ის 3 კვირის ვადაში დასრულდება.

ინგა შილაშვილი



დედოფლისწყაროელი სამი პედაგოგი, ახალი სკოლის მოდელის შემაჯამებელ ფორუმზე, მოხსენებით წარსდგა



დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის სამმა პედაგოგმა, პროექტ „ახალი სკოლის მოდელი“ შემაჯამებელ ფორუმზე, საგნობრივი მიმართულებით მოხსენებები წარადგინა.

სკოლის ინფორმაციით, კონფერენციის მომხსენებლები იყვნენ: ქიმიის მიმართულებით: ირინე თეთვაძე; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით: შორენა ალუღიშვილი; ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით: თამარ ბოსტაშვილი.

„2021 წლის 23-24 ნოემბერს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროექტ „ახალი სკოლის მოდელის“ 2020 წლის შემაჯამებელი ფორუმი გაიმართა, რომელიც ონლაინ რეჟიმში ჩატარდა პლატფორმა TEAMS-ის ფორმატში.

ფორუმს ესწრებოდა 1000-ზე მეტი მონაწილე სტუმარი - სკოლის დირექტორები, პედაგოგები, რესურსცენტრების, პარტნიორი ორგანიზაციებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლები.

ფორუმის მიზანი იყო, დამსწრე საზოგადოებისთვის წარედგინათ პროექტის ფარგლებში 2020 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში.

შეხვედრის ფარგლებში, ასევე გაიმართა პანელური სესიები სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით.

მონაწილეები გაეცნენ „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში ჩართული საჯარო სკოლების მოსწავლეების მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების ნიმუშებს“, - ნათქვამია სკოლის ინფორმაციაში.

ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკას 300-მდე ახალი წიგნი გადაეცა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ზემო მაჩხაანის ახლადრეაბილიტირებული საჯარო სკოლის ბიბლიოთეკას კიდევ 300-მდე წიგნი შეემატა.

ლიტერატურა სკოლას საერთაშორისო ასოციაციამ საჩუქრად გადასცა. ზემო მაჩხაანის სკოლის ბიბლიოთეკა შენობასთან ერთად, 5 წლის წინ დაინვა.

ახლა კი მოსწავლეებს საშუალება აქვთ განათლება განახლებულ სკოლაში მიიღონ და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბიბლიოთეკით ისარგებლონ.



კერძო სკოლები და ცვლილებები ზოგადი განათლების შესახებ კანონში

ყველასთვის ცნობილია, რომ განათლება მნიშვნელოვანია, რადგან ერის განვითარების ერთ-ერთი საფუძველი სწორედ განათლებულ საზოგადოებასა და მომავალ თაობაშია. ამიტომ, ეს სფერო საქართველოში ცვალებადია და ამ ცვლილებების ფონზე, მუდმივად ცდილობს იმ ადეკვატური და მორგებული კანონთა სისტემის შექმნას, სადაც ყველასთვის დაცული იქნება ერთი და უმნიშვნელოვანესი: განათლების მიღების უფლება. სულ რამდენიმე კვირაა, რაც პარლამენტის აქტიური უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებზე ალაპარაკდა.

რა გი პის სავალდებულო სასწავლო?

პარლამენტში დარეგისტრირდა საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის თანახმადაც კერძო სკოლა უფლებამოსილი იქნება, ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლეს, სტატუსი დავალიანების წარმომადგენლის სემესტრის დასრულებიდან, მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე შეუწყვიტოს. კანონპროექტის ავტორები განათლების კომიტეტის წევრები, დეპუტატები შალვა პაპუაშვილი და გიორგი ამილახვანი არიან. კერძო სკოლის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით ცვლილება „ზოგადი განათლების კანონში“ უნდა განხორციელდეს. ცვლილებების მიზნად ინიციატორები კანონში არსებულ ხარვეზს და კერძო სკოლების დირექტორთა ასოციაციის მიმართვას ასახელებენ.

„ბოლო წლების სასკოლო პრაქტიკის თანახმად, კერძო სკოლების მოსწავლეთა მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური ან სხვა სახის პრობლემების გამო ვერ აღასრულებენ კერძო სკოლასთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას და წარმოეშობათ ფინანსური დავალიანება, ხოლო კერძო სკოლას არ აქვს სამართლებრივი ბერკეტი, რომ მომსახურება შეუწყვიტოს დამკვეთს ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო. ასეთ ვითარებაში, კერძო სკოლები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, რეალურად მიმართონ რაიმე ქმედით ღონისძიებას. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „დაწყებითი და საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა“. შესაბამისად, არ არსებობს კერძო სკოლიდან მოსწავლის იძულების წესით სხვა სკოლაში გადაყვანის ან გარიცხვის სამართლებრივი საფუძველი. საქართველოს კონსტიტუცია ამბობს, რომ სახელმწიფომ ყველა ბავშვი უნდა უზრუნველყოს საბაზისო სასკოლო განათლების ხელმისაწვდომობაზე - უფასოდ. მოსწავლეებისათვის საბაზისო განათლების ხელმისაწვდომობის ვალდებულება აქვთ კერძო სკოლებსაც. საკანონმდებლო ცვლილებების ავტორები ამბობენ, რომ სკოლისადმი არსებული დავალიანება არ შეუშლის ხელს ბავშვის სხვა კერძო ან საჯარო სკოლაში გადაყვანის პროცესში იმ მშობლებს, რომლებიც ვერ ან არ იხდიდნენ საფასურს, ან სულაც სხვა მიზეზის გამო სურდათ სკოლის შეცვლა საკუთარი შევლიანობისთვის.“

კ ა ნ ი მ დ ე ბ ი ს მიხედვით, მოსწავლის ერთი სკოლიდან სხვა სკოლაში გადაყვანა შესაძლებელია მხოლოდ მიმღები სკოლის მიერ მობილობის მოთხოვნის შესახებ განცხადების გაგზავნით. ამ უკანასკნელის საფუძველს კი წარმოადგენს მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება. ამდენად, თუ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი არ მივა მიმღებ სკოლაში და არ დანერგ განცხადებას მოსწავლის სკოლაში მიღების თაობაზე, მოსწავლე სკოლას ვერ შეიცვლის. მიუხედავად არაერთი ასეთი შემთხვევისა, კერძო სკოლები კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის გამო იძულებული არიან, ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლეს ჩვეულებრივ რეჟიმში მიაწოდონ საგანმანათლებლო სერვისი. გარდა ამისა, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მოსწავლეს არ აქვს ფინანსური დავალიანება, თუმცა მშობელს/

კანონიერ წარმომადგენელს სხვადასხვა მიზეზის გამო აღარ სურს მოსწავლემ სწავლა გააგრძელოს კერძო სკოლაში. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სხვა სკოლაში გადასასვლელი დოკუმენტების დროულად გადაცემას მიმღები სკოლისთვის, რათა მოსწავლეს არ წარმოეშვას ფინანსური დავალიანება. წარმომადგენელი კანონპროექტი მიზნად ისახავს ამ სამართლებრივი ხარვეზების გამოსწორებას, — ნათქვამია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

რა შემთხვევაში არაა პრობლემა სასწავლო?


ახალი კანონი სახელმწიფოს, კერძოდ კი, განათლების სამინისტროს, ავალდებულებს პროცესში ჩართვას მაშინ, თუ მშობელი გადაწყვეტს, რომ კერძო სკოლიდან ბავშვი საჯარო სკოლაში გადაიყვანოს. სამინისტროს მოვალეობა იქნება ბავშვის საჯარო სკოლაში გადაყვანის მყისიერი უზრუნველყოფა.

რა ვალდებულება აქვს კერძო სკოლა?

კერძო სკოლა ვალდებული იქნება, მოსწავლისთვის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ან სხვა სკოლაში მობილობის სურვილის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღების დღესვე აღნიშნულის შესახებ წერილობით აცნობოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს, მოსწავლის პირადი საქმე და სხვა სკოლაში ჩასა-

პროექტის კიდევ ერთი ინიციატორი, დეპუტატი შალვა პაპუაშვილი ფიქსირებულ საჯარო პოსტში წერდა, რომ ცვლილება, სინამდვილეში, „ბავშვების უფლებებს აძლიერებს“.

დაგეგმილ ცვლილებებს განათლების სპეციალისტების ნაწილი სკეპტიკურად შეხვდა და შეაფასა როგორც „ფრაგმენტული და არასრულყოფილი“. მაგალითად, ნათია გორგაძე დაინტერესდა იმით, თუ რატომ ერევა სახელმწიფო კერძო სკოლისა და მშობლის ურთიერთობაში მხოლოდ ამ საკითხში და რატომ არ ცდილობს, მაგალითად, კერძო სკოლების ბავშვების უზრუნველყოფას იგივე სიკეთებით, რაც აქვთ, მაგალითად, საჯარო სკოლის მოსწავლეებს - უფასო სახელმძღვანელობის პროგრამა იქნება ეს, „ბუკის“ პროგრამა თუ სხვა. რადიო თავისუფლებასთან საუბარში ის ამბობს: „ჩემი აზრით, ეს მხარდაჭერა ძალიან ფრაგმენტულია და კერძო სკოლის მოსწავლეებს მთლიანი სივრცის მიღმა ტოვებს. ჩემთვის საინტერესოა, მაგალითად, თუ არის დათვლილი რამდენია გადახდისუუნარო მშობელი ან რა მოხდა ისეთი, რომ მათ აღარ აქვს გადახდის შესაძლებლობა. იქნებ უკეთესი გამოსავალი ყოფილიყო, სახელმწიფო სწორედ ამ კუთხით ჩარეულიყო? სკოლასაც და სახელმწიფოსაც ერთობლივად მიეღოთ კომპრომისული გადაწყვეტილება და ნაწილობრივ მაინც დაეფინანსებინა ასეთი ბავშვების სწავლა?“.



რიცხად წარსადგენი დოკუმენტაცია გადასცეს მოსწავლის მიმღებ სკოლას, მოთხოვნის მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღეს. აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობა კერძო სკოლისათვის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი იქნება. სტატუსშეწყვეტილი მოსწავლის სხვა კერძო სკოლაში სწავლის გაგრძელებლობის შემთხვევაში, სამინისტრო კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სტატუსშეწყვეტილი მოსწავლისათვის საჯარო სკოლაში განათლების მიღების ხელმისაწვდომობას. კერძო სკოლა ასევე ვალდებულია: თუ მოსწავლეს დავალიანება დაუგროვდა მიმდინარე სასწავლო სემესტრის განმავლობაში, სკოლამ ბავშვს უნდა მისცეს სემესტრის დასრულების საშუალება, რათა არ შეუზღუდოს მას განათლების მიღების უფლება და მხოლოდ შემდეგ გადავიდეს ის სხვა სკოლაში.

ვინ და როდის დაფარავს დავალიანებას?

სკოლისათვის გადაუხდელი თანხა ვალად რჩება. ხოლო ის, თუ როდის ან რა გრაფიკით წარიმართება ეს პროცესი, მშობელსა და კერძო სკოლას შორის ხელშეკრულების და სამართლებრივი მოლაპარაკების საკითხია. დავალიანება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაიფაროს, თუმცა მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერების შემდეგ, ეს დავალიანება მას ხელს არ შეუშლის მალევე გააგრძელოს სწავლა სხვა სკოლაში. ზოგადი განათლების კანონში ცვლილების კანონ-

მეტეს ისეთი მინიმალური გადასახადი რაც ჩვენს სკოლაშია. თუ ის ვერ შეძლებს კერძო სკოლაში სწავლის გაგრძელებას, ამ შემთხვევაში აირჩიოს კერძო ან საჯარო სკოლა. კერძო სკოლაში სწავლება არ არის სავალდებულო, ეს დამოკიდებულია პირად სურვილზე, თუ მშობელი ხვდება, რომ მას შეუძლია ბავშვის სწავლის საფასურის გადახდა, რა თქმა უნდა, ჩვენ ვიღებთ, მაგრამ თუ ის ფიქრობს, რომ ბავშვმა, უნდა ისწავლოს, წლების განმავლობაში ისე, რომ საფასური არ გადაიხადოს, უბრალოდ, ვესაუბრებით და ვუხსნივთ სიტუაციას, რაზე არის დამოკიდებული ეს ყველაფერი. ყოფილა შემთხვევები დავალიანების, მაგრამ მშობელს უთხოვია, რომ დროთა განმავლობაში დაეფარა დავალიანება. ეს ხდებოდა სკოლისა და მშობლის კერძო შეთანხმების საფუძველზე. სკოლა ყოველთვის ითვალისწინებს მშობლის გარკვეულ ინტერესებს, მთავარია ეს ინტერესები სკოლის განვითარებაზე უარყოფითად არ აისახოს. ჩვენ ხელშეკრულებაში პირდაპირ გვაქვს ჩადებული, რომ მშობელს შეუძლია გადაიხადოს გადასახადი თვითრად, სემესტრულად ან წლის ბოლოს, ეს მშობელს შეღავათს აძლევს სურვილისამებრ, შესაბამის დროს გადაიხადოს საფასური. გადასვლას რაც შეეხება, ჩემთან შემოდის თუ არა იმ სკოლიდან მომართვა ბავშვის გადაყვანასთან დაკავშირებით, მშობლის მოთხოვნის მიზეზით, მე იმ დღესვე ვწერ მიმართვის საფუძველზე ბრძანებას, ვამზადებ პირად საქმეს და ფოსტის საშუალებით ვუგზავნი სკოლას. ავტორიზაციის შეწყვეტაც ამ ერთი საკითხის გამო არ უნდა მოხდეს, ამიტომ კარგი იქნება თუ ეს დროც რაც საბუთების გადაგზავნისთვის არის დაინიცირებული, გაიზრდება.“

ნატო, მშობელი: „მოსწავლის სტატუსის შეჩერება, ვფიქრობ, არამარტო განათლების ხარისხზე, არამედ ბავშვზე გარკვეულწილად ფსიქოლოგიური კუთხითაც იმოქმედებს. შეიცვლის გარემოს, მეგობრებს, მასწავლებლებს, ეს ყველაფერი ხომ იმოქმედებს? ზოგს უჭირს კიდევ ახალ გარემოსთან შეგუება. საკუთარი შვილის მაგალითს გეტყვი: სოფელში გადასვლის საკითხს განვიხილავდით, თვისთავად სკოლის შეცვლაც მოგვინებდა. ამან ისე ძალიან იმოქმედა ბავშვზე, რომ ძალიან დარდობდა. გააპროტესტა და გვითხრა სხვა სკოლაში არც ვისწავლი და არც მეგობრები მეყოლებათ. უნდა იყოს რაღაც შეღავათები, გადაუხდელობასთან დაკავშირებით, მაგრამ არსებობს მეორე მხარეც, სკოლაც, რომელიც არანაკლებ ზიანდება. ბავშვის გადახდილი თანხით ხდება სკოლის არსებობა, მასწავლებლის ხელფასების გადახდა და ასე შემდეგ. ვფიქრობ, სკოლის მხრიდან უკვე აღტერნატივია ის, რომ როდესაც ორი ან მეტი ბავშვი დადის ერთი ოჯახიდან, გაანახევრონ საფასური. სხვათაშორის ჩვენი სკოლა ამ საკითხში ძალიან გეინყობს ხელს მშობლებს. ცოტა ძნელია წინასწარ განსაზღვროს მშობელმა ფინანსური მდგომარეობა ოჯახში, მაგრამ თუ არ მაქვს საშუალება რომ მე ჩემი შვილი ვატარო კერძო სკოლაში და რაღაც გარკვეულ ეტაპზე ველარ შევძლებ გადახდას, თავიდანვე მივიყვან საჯარო სკოლაში, ამიტომ რომ უპირველესად მე მშობელმა არ დავარღვიო შვილის უფლებები და არ მოვახდინო უარყოფითი გავლენა მის ემოციურ მდგომარეობაზე. სხვა კერძო სკოლებში არ ვიცი რა ხდება, მაგრამ ჩვენს სკოლაში უამრავი შემთხვევა ყოფილა, როდესაც დირექციას დიდი შეღავათები გაუფიქრებია. ვფიქრობ, განათლების სამინისტრო არ უნდა ერეოდეს ფინანსურ საკითხში, ხელშეკრულება იდება მშობელსა და სკოლას შორის და პრობლემაც მათ შორის უნდა მოგვარდეს. თანაც ისე, რომ არ დაიარღვას ბავშვის უფლებები და შეუძლებელი ემოციურ მხარეზეც მინიმუმამდე დავიდე.“

საკანონმდებლო ცვლილებებს ჯერ პარლამენტის კომიტეტებში განიხილავენ, შემდეგ კი კანონპროექტს კენჭს პლენარულ სესიაზე უყრიან.

მასალა მოამზადა შუშუნა ყანაშვილი

ეს ბრძოლაა ბედარჩენისთვის

შენობა მინისპირზე და ეზოდან ოთხ-მომცროსიანი ბინაში პირდაპირ ერთ პატარა ოთახში შევდივართ, სადაც ლუმელი ანთია და ოჯახის თითქმის ყველა წევრი თავმოყრილი. იმის გამო, რომ შემოსავალი კარი ღია სივრცეში გადის, მის ყოველ გახსნაზე სიცივე ინტენსიურად შემოდის და ოთახში სითბოს შენარჩუნება ძვირად იწოდება. ამ პატარა ბინაში ოთხი თაობის 13 წევრი ცხოვრობდა, მათ შორის 5 მზარდი. კუთხეში, პატარა მაგიდაზე, კანდელი ანთია და შავჩარჩოვანი სურათი დგას, საიდანაც ალალ-მართალი, უბრალო კაცის მშვიდი თვალები შემოგვცქერია. ეს ლადო ფავლენიშვილია, რომელიც, სულ რაღაც ათიოდე დღის წინ, 89 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა. მოულოდნელად იმიტომ, რომ მან მხოლოდ დღის მეორე ნახევარში იგრძნო უძლიერება და... დატოვა შეილებით, შვილიშვილებით და შვილთაშვილებით სავსე ოჯახი. ლადო პაპას ამქვეყნიდან წასვლამ დახურა ის პირველი თაობა და 3 თაობის 12 წევრიანი ოჯახია დღეს ჩემი მასპინძელი. უფრო ზუსტად კი, ჩემი სტუმრობის ძირითადი მიზეზი ვლადიმერ ფავლენიშვილისა და მზია დევრიშვილის ხუთშვილიანი ოჯახი გახლავთ.

ვლადიმერი, იგივე ვალერი დედოფლისწყაროს მკვიდრია. დაიბადა 1988 წლის 15 დეკემბერს წითელწყაროში. ის შოველი ფავლენიშვილის და ლალი ქენჭაძის პირველი ვაჟია. სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი გაიზარდა ამ ოჯახში. მან წითელწყაროს №3 საშუალო სკოლის 9 კლასი დაამთავრა, ჯაფარიძის №72 პროფსასწავლებელში მძღოლის პროფესიას დაეუფლა და სავალდებულო სამხედრო სამსახურმა დაიწყო. წელიწადნახევარი იმსახურა და ვალდებულება დაბრუნდა ოჯახში. ამასობაში ბიძა გახდა, მის დას შვილი შეეძინა და სწორედ მის ნათლობაში სიძის ახლადგაცნობილ დეიდაშვილის შვილს - მზია დევრიშვილს ხელი დაავლო და ცოლად მოიყვანა. მზია დევრიშვილი ახალციხელია. მისი გვარი დევაძე იყო, მაგრამ, ისე, როგორც არაერთმა ქართველმა, მიზეზითა და მიზეზითა გამო, გვარი შეიცვალა, მერე ისევე დაიბრუნეს დევრიშვილებმა დევაძეების ძირძველი გვარი, მზია კი შეუღლის გვარზე გადავიდა და დღეს ფავლენიშვილია. ვალერი და მზია 10 წელია, ერთად არიან. მათ უკვე ხუთი შვილი ჰყავთ. უფროსი ხვიჩაა, ის 9 წლის არის და №2 საჯარო სკო-

ლის 4 კლასშია. მისი მასწავლებელი ნანა ბეგიაშვილია. ხვიჩას ნანა მასწავლებლის დიდი ხათრი აქვს, სწავლობს, რამდენიც შეუძლია (ყველა ათოსანი ხომ ვერ იქნებაო; - ამბობს), სამაგიეროდ, შრომა არ ეზარება და ყოველთვის მზად არის, ოჯახს დაეხმაროს. ბარბარე მეორე კლასელია, მანანა მახარობლიშვილის კლასშია, ძალიან უყვარს თავისი მასწავლებელი და ფიქრობს, რომ ის ყველაზე კარგია. პირველკლასელი ირაკლი თავის მზია მასწავლებელს კარგად ვერცკი იცნობს, რადგან სწავლა, ძირითადად, დისტანციური იყო. საერთოდ, ის ძალიან ცელქია და მზია მასწავლებელს მის „მოსარჯულებლად“ დიდი ძალისხმევა დასჭირდება. ნაილი ჯერ საბავშვო ბაღში დადის, ხოლო 10 თვის ალექსანდრე დედის კალთას არის ჩაბლაუჭებული. ბავშვები ცელქობენ, ხმაურობენ, ჭიდაობენ, ძიგვილაობენ, ხანდახან ჩხუბობენ კიდევ, მაგრამ ძალიან უყვართ ერთმანეთი, ყველაზე მეტად კი ნაილი და ალექსანდრე, რადგან ისინი უმცროსები არიან და მათი „მოვალეობა“ სხვა არაფერია.

ბავშვები ჩემთვის არანაირ დისკომფორტს არ ქმნიან, პირიქით, ისინი სიცოცხლის, ხალისის და სიხარულის წყარო არიან, თუ ღმერთი ინებებს და კიდევ მომცემს შვილს, თავს არ გავიხრი. მხოლოდ ერთი რამ, თუ არჩევანის წინაშე არ დავდეთ დედასა და შვილს შორის, მე შვილზე უარს არ ვიტყვი, - ამბობს ვალერი და პირველის წერით სრულად ეთანხმება მეუღლეს მზია, რომელიც ჯერ ოცდაათი წლისაც არ არის და უკვე ხუთი შვილის დედაა არცთუ ისე დაბალი ნილი ეკონომიკის ფონზე. ოჯახი სოციალურად დაუცველია. ვალერის მუდმივი და სტაბილური სამსახური არ აქვს. არასოდეს დაუკვლია მცდელობა, რაოდენიმე სპეციალობას დაეუფლა - არის ელექტროტექნიკოსი, შემდუღებელი. ერთხანს რაიონის ელექტრომეურნეობაში, შემდეგ რუსთავის კარიერშიც მუშაობდა, მაგრამ მწირი შემოსავლით ოჯახის რჩენა ჭირდა. მათი ყველაზე დიდი პრობლემა ის გახლავთ, რომ საკუთარი სახლი არ აქვთ. ხან ერთ უბანში ცხოვრობენ ქირით, ხან მეორეში. გასული წლის შემოდგომიდან მამაპაპისეულ სახლში დაბრუნდნენ, სადაც რამდენიმე თაობა ცხოვრობს - ვალერის მშობლები, ორი დაუოჯახებელი, ასაკიანი მამიდა, უმცროსი ძმა, რომელ-

საც ჯერჯერობით მეუღლე არ ჰყავს, მაგრამ მასაც ხომ უნდა მომავალი, შვილები. ამიტომ ვალერი დღე და ღამ იმის ფიქრშია, როგორ იმოვოს საკუთარი ჭერი. სასურველი იქნებოდა, ჩვენს მუნიციპალიტეტს ჰქონდეს ფინანსური შესაძლებლობა, ბინის ყიდვისას ნაწილობრივ მაინც ამოსგომოდა მხარში ამ მრავალშვილიან ოჯახსაც და მათ მსგავსად უბინოდ მყოფ ადამიანებსაც. მართალია, ჩვენი მუნიციპალიტეტის სოციალურ პაკეტში ბინით უზრუნველყოფის კუთხით გათვალისწინებულია ქირის გადახდა, მაგრამ ის იმდენად მიზეზულია (თვეში 60 ლარი), რომ ამ ფასში ბინაში არავინ შეუძევბთ. მით უმეტეს 5 მცირეწლოვანი ბავშვების პატრონს. ჰოდა, არიან ასეთ გაჭირვებაში ფავლენიშვილები, ბავშვებს არ აქვთ კომპიუტერი, მეცადინეობისთვის საჭირო პირობები. არადა, რამდენი ბინა დაკეტილი, მათი მფლობელები საზღვარგარეთ რომ ცხოვრობენ და 5-10 წელიწადში ერთხელაც ვერ ახერხებენ ჩამოსვლას, დედაქალაქში მცხოვრებიც ბევრია, მამაპაპისეული სახლი გამოკეტილი რომ აქვს და ზაფხულში ერთი-ორი კვირა თუ ჩამოვლენ და კარ-ფანჯარას გააღებენ, გაანიავენ. მაღლი რომ ქანა და ამ გაჭირვებულ ოჯახს რამდენიმე ოთახი დაუთმონ, სახლკარსაც ხომ მიხედავენ, კარმიდამოსაც დაამუშავებენ, ხეხილს მოუვლიან და შამბნარი აღარ გადაუვლის მათ ეზოებს.

დღეს ჩემი ცხოვრება ბრძოლაა გადარჩენისთვის, თუმცა, უმადური ვერ ვიქნები, პირში სული სოციალური დახმარების წყალობით გვიდგას. 670 ლარ დახმარებას ვიღებთ, როგორც სოციალურად დაუცველები, ალექსანდრეს ორ წლამდე 150 ლარი და 80 ლარიანი ვაუჩერი აქვს. პანდემიასთან დაკავშირებითაც გვაქვს დახმარებები, ზოგს ხალხი მოგ-



ვიკითხავს ხოლმე - ტანსაცმლით, საკვებით პრობლემებით. ყველასი მადლობელი ვართ, მთავრობისაც, ხალხისაც, მაგრამ გულდასაწყვეტია, რომ ასეთი უმუშევრობაა, მე ხომ შვილები სხვათა იმედზე არ გამიჩინია! თავს არ ვზოგავ, შრომა არ მეზარება, ჩემი ხელით ბევრი რამის გაკეთება შემიძლია, მაგრამ... ჩემი დიდი სადარდებელი ბინაა, საკუთარი ჭერი, რომ ჩემს შვილებს ცხოვრების ელემენტარული პირობები ჰქონდეთ, - გვეუბნება ახალგაზრდა კაცი, რომელსაც მთელი ცხოვრება ჯერ წინ აქვს. თუ ვინმე მადლიანი გამოჩნდება და თავშესაფარს მისცემს მათ, უფლის წინაშე დიდ მადლს იზამს.

ამ წერილის გაკეთებას დედის დღისათვის ვგემგავდით, მაგრამ, როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ლადო პაპას გარდაცვალებამ შეგვიშალა ხელი. თუმცა, ჯერ ისევ მართია და მინდა ფავლენიშვილების ყველა ქალბატონს დედის და ქალთა საერთაშორისო დღეები მივულოცო, ვუსურვო მათ მხნეობა, გამძლეობა და ჯანმრთელობა, პრობლემების მოგვარება და წარმატებები. ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

ნაირა მორაშვილი

ათი ყველაზე მრავალშვილიანი დედა მსოფლიოს ისტორიაში

დედობა - თავისთავად დიდი სიხარულია, მაგრამ რამდენიმე შვილის დედობა ორმაგად ბედნიერს ხდის ქალს. დღეს უკვე იშვიათობაა მრავალშვილიანი დედები და სამი-ოთხი შვილის გაჩენაც კი დიდ გმირობად ითვლება, თუმცა ძველ დროში საკმაოდ დიდი იყო იმ ქალების რიცხვი, ვინც ათ და მეტ შვილს ჩუქნიდა სიცოცხლეს. დღეს გვინდა მოგიხსნათ ისტორიაში ყველაზე მეტად ცნობილი ათი მრავალშვილიანი დედის შესახებ, რომელთაც ბავშვების რეკორდული რაოდენობა გააჩინეს

მისის ჰარისონი - 35 შვილი
მისის ჰარისონის შესახებ ძალიან მცირე რამაა ცნობილი. ისტორიამ მისი სახელიც კი არ შემოგვინახა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მან მთელი ცხოვრება ლონდონში გაატარა. ლონდონის ერთ-ერთ პრესტიჟულ ჟურნალში გამოქვეყნებულ ცნობებს თუ დავეყრდნობით, 1736 წელს ამ ქალბატონმა 35-ე ბავშვი გააჩინა. ცნობილი არაა, ამ ბავშვებიდან რამდენი გადარჩა ცოცხალი და მიაღწია ზრდასრულ ასაკს. ასევე ცნობილი არაა, თუ რამდენი მშობიარობა დასჭირდა მისის ჰარისონს 35 ბავშვის გასაჩენად, თუმცა თავისთავად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იმ პერიოდში, როცა ქალის მშობიარობა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული და არაერთხელ მთავრდებოდა სიკვდილიანობით, ამ ქალმა მოახერხა ამდენი ბავშვის უპრობლემოდ გაჩენა.

ვილიჰამი ბრინილი-39 ბავშვი
ტომას გრინჰოლი საკმაოდ ცნობილი ინგლისელი ქირურგი იყო. გარდა ამისა, ის აქტიურად შეისწავლიდა ბალ-

ზამირების ტექნიკას და წიგნიც კი გამოცა სახელწოდებით "ბალზამირების ხელოვნება". ტომასი იყო ყველაზე პატარა — 39-ე შვილი ელიზაბეტ და უილიამ გრინჰოლისა. საინტერესოა, რომ ამ ქალბატონს მხოლოდ ორჯერ ეყოლა ტყუპები, ეს კი ნიშნავს, რომ მან 37-ჯერ იმშობიარა.

ელიზაბეტი ბოი-41 შვილი
ის, რაც ელის ჰუკის შესახებ ვიცით, მისი ერთ-ერთი შვილის-ნიკოლასის საფლავზე ამოტვიფრული წარწერაა, რომელიც გვამცნობს, რომ ის ელის ჰუკის 41-ე შვილი იყო. მეტი ინფორმაცია ამ ქალის შესახებ, თუ ვინ იყო ის - მდიდარი იყო თუ ღარიბი, ჰყავდა მხოლოდ 41 თუ უფრო მეტი შვილი, - ცნობილი არაა.

ელიზაბეტი ბოი-42 შვილი
ინგლისის ერთ-ერთი პატარა სოფლის მოქს კირბის მცხოვრები ელიზაბეტ მოტი ჯონ მოტს ცოლად 1676 წელს გაჰყვა და უზარმაზარი ოჯახის დედა გახდა. ცნობილია, რომ მისი ყველა - 42 მშობიარობა მშვიდობიანად დასრულდა და არცერთი ბავშვი არ დაღუპულა. სხვა ცნობები ამ ქალბატონის შესახებ არ არსებობს.

მადალენა ბრანაბა-52 ბავშვი
1839 წელს იტალიაში დაბადებული მადალენა ბრანაბამ, გადმოცემის მიხედვით, 52 შვილი გააჩინა და თავის დროზე საკმაოდ ცნობილი ადამიანიც გახლდათ. იტალიაში გამოთქმაც კი გავრცელდა: "ბრანაბას შემთხვევა", რომელიც გულისხმობდა მრავალშვილიან ქალს.

ბარბარა სტრატმანი-53 შვილი
ბარბარა სტრატმანი 1448 წელს დაიბადა გერმანიაში, ის ცნობილი გახდა იმით, რომ 53 ბავშვი გააჩინა. 50 წლის ასაკისათვის მან მოასწრო 29-ჯერ მშობიარობა: 5-ჯერ მას ტყუპები შეეძინა, 4-ჯერ სამ-სამი შვილი, ექვსჯერ ერთ-ბაშად ექვს-ექვსი ბავშვი გააჩინა, ხოლო ერთხელ შვიდიც კი. მე-19 და 53-ე ბავშვები მკვდრები დაიბადნენ, რაც სულაც არ იყო იშვიათობა მე-15-ე საუკუნეში. დანარჩენი 34 ბავშვი ჯანმრთელი გაჩნდა და მათ ზრდასრულ ასაკს წარმატებით მიაღწიეს.

გლენის ძალი კირილოვა-57 შვილი
რუსი გლეხის ქალი კირილოვა (სახელი, სამწუხაროდ, ცნობილი არაა), ცხოვრობდა სოფელ ვედენსკში და 29 მშობიარობით გააჩინა 57 შვილი: ათჯერ მას ტყუპები ეყოლა, შვიდჯერ-სამ-სამი, ხოლო ოთხჯერ ოთხ-ოთხი ბავშვი. კირილოვების ოჯახზე მცირე ცნობებია შემონახული, ცნობილია მხოლოდ ის, რომ 1755 წელს მთელი მათი ოჯახი, 57 შვილის ჩათვლით, მოწმედ იმყოფებოდა ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე, რომლის ჩანაწერებიც არქივშია შემონახული.

ლეონტინა ალბინა-54 შვილი
ლეონტინა ალბინა დაიბადა ჩილეში 1926 წელს და სწორედ მას ეკუთვნის რეკორდი მშობიარობაში. გადმოცემის მიხედვით, მის მიერ გაჩენილი ბავშვების რაოდენობა 64-ს აღწევდა, თუმცა ოფიციალური მონაცემებით მხოლოდ 55-ია დადასტურებული, ეს იშვიათობა არ იყო იმდროინდელ ჩილეში. წყაროს ცნობით,

ლეონტინას 11 შვილი ჩილეში მომხდარი სამხედრო მინისძვრის დროს დაღუპულა, ხოლო ზრდასრული ასაკისათვის 40-ს მიუღწევია.

მალბაონი ბრანაბა-62 შვილი
"გრავატას შემთხვევა" გაგრძელება ჰპოვა 1923 წელს, როცა იტალიური გაზეთები წერდნენ ქალაქ პალერმოში მომხდარ ამბავს, როცა ერთი იტალიელი ქალბატონი 62-ე შვილის დედა გახდა. მას ერქვა (დამთხვევაც ამას ჰქვია) როზა გრავატა. როზას წილად მოდის ორ-ჯერ სამ-სამი ბავშვის გაჩენა, ოთხჯერ ოთხ-ოთხი, ხოლო ერთხელ ხუთ-ხუთი და ექვს-ექვსი ბავშვის შობა. ყველა 62 ბავშვი ჯანმრთელი დაიბადა, თუმცა მიაღწიეს თუ არა მათ ზრდასრულ ასაკს, - ცნობილი არაა.

გლენის ძალი კირილოვა-69 შვილი
მრავალშვილიანი დედების რეიტინგს რუსი გლეხის ქალი ვასილიევა ასრულებს, რომელიც თავისი ნაყოფიერების გამო გინესის რეკორდების წიგნშია შესული. მის შესახებ ძალიან მცირეა ცნობილი - ვასილიევა ცხოვრობდა მე-18 საუკუნეში სოფელ შიეში და მოახერხა 69 (!) შვილის გაჩენა. რეკორდული რაოდენობის შთამომავლობა მან დატოვა 27 მშობიარობის შედეგად 1725-1765 წლებში განმავლობაში. ვასილიევას 16-ჯერ ტყუპები ეყოლა, შვიდჯერ სამ-სამი ბავშვი, ხოლო ოთხჯერ ოთხ-ოთხი. კიდევ უფრო დაუჯერებელია, რომ ვასილიევას ყველა თითქმის ყველა ბავშვი (ორის გარდა) ჯანმრთელი დაიბადა და მათ ზრდასრულ ასაკს მიაღწიეს. საინტერესოა, ოდესმე ვინმე თუ მოახერხებს ამ რეკორდის გაუმჯობესებას?!

როგორ ვირჩევთ შრომის ადამიანს, ან უზრუნველყოფილი მომსახურების მიწოდების მიწოდებაში

თითოეული ინდივიდისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიის სწორად არჩევა. ადამიანის ცხოვრებაში დეგრადაციული პროფესია უამრავი პრობლემა და უსიამოვნო ერთ-ერთი, მიიღოს გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების სისწორე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პიროვნების ცხოვრებისეულ გზაზე, საკუთარი საქმიანობით კმაყოფილებაზე, შრომით საქმიანობასა და კარიერაში წარმატებებზე. ცნობილია, რომ სამუშაო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში და დიდ გავლენას ახდენს პიროვნების განწყობაზე. წარმატებული პროფესიული საქმიანობაში, შრომითი მოტივაცია და კმაყოფილება დიდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროფესიის გააზრებულად არჩევაზე.


პროფესიის არჩევანს უდიდესი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. პროფესიის სწორად არჩევის დიდ ეკონომიკურ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ, სპეციალისტების განვითარებით, პროფესიისადმი ინტერესის უქონლობისას, სხვა თანაბარ პირობებში, მომუშავეს შრომის მწარმოებლობა მცირდება 35%-ით, პროფესიული უნარის უქონლობისას 50%-ით, ბოლო უნარისა და ინტერესის გარეშე მომუშაობისას 70%-ით. თუ ამას დავუმატებთ პროფესიისათვის შეუფერებელი კადრების მომზადება-გადამზადებაზე გაწეულ ხარჯებს, ამ მიზეზით კადრების დენადობით, წუნიაანი პროდუქციის გამოშვებით, სანარმოო ტრავმატიზმის გავრცელებით, სანარმოო ტრავმატიზმის გავრცელებით, უკონომიკურ შედეგს. სოციალური ეფექტი კი გამოიხატება ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა: მომუშავეს შრომითი კმაყოფილების დონე, შრომითი და შემოქმედებითი აქტიურობა, ჯანმრთელობის შენარჩუნება და ა.შ. ადამიანს, რომელსაც მთელი ცხოვრება უნევს იმ საქმის კეთება რომელიც არ აინტერესებს, ანდა რომლის შესასრულებლად საჭირო უნარჩვევები არ გააჩნია, უჩნდება უკმაყოფილებისა და განწყობის გრძობა. ამასთან, ასეთი განწყობა მას უყარავს ადამიანს, რომელიც არაა მარტო გარემომცველების, არამედ მთელი საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიმართ, რომელთაც, მისი აზრით, არ მისცეს მას თვითრეალიზაციის შესაძლებლობა.

საქართველოში უმაღლესი განათლების დამატებითი დიპლომის ყოველწლიურად დაახლოებით 18 000-მდე ადამიანი იღებს. მათ შორის დიდი წილი მოდის ეკონომიკის, ბიზნესის, სოციალური მეცნიერებებისა და სამართლებრივ დარგების ფაკულტეტებზე, თუმცა...

დღეს ხშირად საუბრობენ იმის თაობაზე, რომ ადამიანის კარიერული წინსვლისათვის აკადემიური ინტელექტის გარდა აუცილებელია მაღალი ემოციური და სოციალური ინტელექტი. ემოციური ინტელექტი ზოგჯერ სოციალური ინტელექტის ქვესტრუქტურად, ნაწილად განიხილება. ის ადამიანის პროფესიულ თავისებურებებს მიეკუთვნება და მართლაც მჭიდროდაა დაკავშირებული პროფესიის არჩევანთან. ამის გარდა, ზოგიერთი პროფესიისათვის ასევე განიხილება პროფესიულად მნიშვნელოვან თვისებად. თუ გავიხსენებთ, რომ ემოციური ინტელექტი გულისხმობს საკუთარი ემოციის გაცნობიერებას, სხვისი ემოციის ამოცნობას და ამ ყველაფრის მართვა-რეგულირებას, ეს გასაკვირიც აღარ იქნება. ამიტომ არის, რომ ქვეყნად, ერთი მხრივ, არსებობენ ექიმები, პედაგოგები, ბიზნესმენები, მეორე მხრივ კი — დიდი და გამოჩენილი ექიმები, პედაგოგები, ბიზნესმენები. ისინი ამას მხოლოდ კარგი სწავლით ვერ მიაღწევენ. ფაქტია, იმისათვის, რომ სწორი არჩევანი გააკეთო, აუცილებელია ძალიან მაკაფიო პასუხი გქონდეს კითხვაზე: „რა მიხდება მს სინამდვილეში?“ მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ადამიანებს კი აქვთ უნარი, სწორად აღიქვან და შეაფასონ თავიანთი სურვილები და შესაძლებლობები, შეუსაბამონ ისინი საკუთარ მიზნებს და თანამიმდევრულად მიჰყვებიან მათ ისე, რომ გზიდან არ გადაუხვიონ. მათ სხვებზე უკეთ შეუძლიათ თავიანთი განცდებთან გამკლავება, ემოციების გაკონტროლება და თვითმოტი-

ვირება. პროფესიის არჩევა - ცხოვრებისეული წარმატების გარანტია. პროფესიის არჩევისას ადამიანზე მოქმედებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი — უნარები, ინტერესები, მოტივაცია, ლირებულებები, ოჯახი. ქართულ რეალობაში კი, ერთი ფრიად უცნაური ფაქტორიც მუშაობს — ეს არის პროფესიების დაყოფა პრესტიჟულ, ნაკლებად პრესტიჟულ და არაპრესტიჟულ პროფესიებად.

სხვადასხვა დროს სხვადასხვა პროფესიები სხვადასხვა კატეგორიაში ხვდებოდა. იყო დრო, როდესაც ითვლებოდა, რომ ქალს უნდა ჰქონოდა ექიმის დიპლომი — ეს იყო პრესტიჟული პროფესია. ქალის მიერ მასწავლებლის დიპლომის ფლობა ნაკლებად პრესტიჟულად ითვლებოდა — თუმცა, მასწავლებლობა მაინც ხვდებოდა ქალისათვის „ღირსეულ“ პროფესიების სიაში. აი, თუ ქალი გადაწყვეტდა, რომ ყოფილიყო ამოღებელი, ხელოსანი, მიმტანი, ან თუ კიდევ „უარესი“ და ტაქსის მძღოლობას მოინდომებდა, მაშინ „მისი საქმე წასული“ იყო. ასეთი არაპრესტიჟული პროფესია



მას ცხოვრებაში სამუდამოდ მიუჩნდა ადგილს ბოლო მერსზე.

არჩევანის გაკეთება უმეტეს შემთხვევაში ხდება არა მისწრაფებების და შინაგანი მოწოდების, არამედ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

(ა) პროფესიის პოპულარობა და ცნობადობა სოციუმის მიერ;

(ბ) უმაღლესი განათლების არქონის გამო სოციუმიდან გარიყვის/გარიცხვის შიში, რაც თავის მხრივ გამოიწვევს არჩევანის გაკეთებას რაციონალური და ლოგიკური მახასიათებლების მიხედვით.

(ა) კრიტერიუმის მიხედვით შერჩეული პროფესიების მქონე ადამიანები დღეს არიან იურისტები, ექიმები, ჟურნალისტები, მასწავლებლები, ფინანსისტები და ა.შ. შედეგად ქვეყანაში გვყავს: იურისტების მთელი არმია, რომელთა უმრავლესობამ არ იცის ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა; თუ იცის, იცის ზეპირად და წარმოადგენს არ აქვს, თუ როგორ უნდა გამოიყენოს იგი; არ სცემს პატივს კანონს და არ აღიარებს კანონის უზენაესობას და უპირატესობას. ექიმების მთელი არმია, რომელთა უმეტესობას ნიშნები და დიპლომი ნაყიდი აქვს საკმაოდ მაღალ ფასად, შესაბამისად არ მიუღიათ ის ცოდნა, რომელიც საშუალებას მისცემდათ საფასურის გარეშე მიეღოთ შეფასება და საბოლოოდ დიპლომი. შესაბამისად, მათ არ შეუძლიათ პაციენტს შესთავაზონ კვალიფიციური დახმარება და ერთადერთი მიზეზი, რაც ამოძრავებთ, არის დიპლომის მისაღებად დახარჯული თანხის ათმაგად ამოღება. ერთ-ერთი შედეგი ამ გაუაზრებელი პროფესიის არჩევის არის სხვადასხვა ფარმაცევტულ კომპანიებთან შეკრული „ექიმები“, რომლებიც გვიყვამენ არასწორ დიაგნოზს და გვინერენ ნამლებს, რომლებიც არაფერში გვჭირდება და თუ ჩვენს ჯანმრთელობას არ ავნო, ჯიბეს ნამდვილად ავნებს. ფინანსისტების მთელი არმია, რომელთა უმეტესობამ მიმატება-გამოკლება კი არ იცის. შედეგი: უვიცი ბულალტრები, რომელთა წყალობითაც ბევრ კომპანიას ექმნება პრობლემები გადასახადების ადმინისტრირების

კუთხით; უვიცი მენეჯერები, რომელთაც არ შეუძლიათ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასება ელემენტარულ დონეზე დამოუკიდებლად და დამოკიდებულნი არიან ზემოთ მოხსენიებულ უვიცი ბულალტრებზე; დაბალი ხელფასები ბაზარზე — ვინაიდან მინოდება ბევრად აჭარბებს მოთხოვნას, იმდენად, რომ ხანდახან შეუძლებელი ხდება რეალურად კარგი კადრის გამომიძიება ამ მასიდან, შესაბამისად ანაზღაურება დაბალია და კადრების დენადობა/დათხოვნის მაჩვენებელი მაღალი. რაღა თქმა უნდა, ამ ყველაფრის თავი და თავი ისევე არაკვალიფიციური მენეჯმენტი. ჟურნალისტების მთელი არმია, რომელთაც არ შეუძლიათ გამართული წინადადების დაწერა ან წარმოთქმა, არ იციან ქცევის, ჩაცმის, კომუნიკაციის, ეთიკის უმარტივესი წესები. შედეგი არის უგემოვნო, მდარე ხარისხის და ხშირად საგანგაშო შინაარსის მქონე სტატიები, გადაცემები და დაბალი ანაზღაურება იგივე მიზეზის გამო, რაც მოვისხენიე ფინანსისტებთან მიმართებაში. მასწავლებლების მთელი არმია, ხალხის, ვინც უნდა აღზარდოს

ტირებული ექნებათ.

ყველა გზა რომ უნივერსიტეტში არ მიდის და ბევრისთვის ეს მხოლოდ დროის და ფულის უაზრო ხარჯვაა, წესით, ბევრი უნდა ხვდებოდეს. ხელი-სუფლებაც განათლების რეფორმის ერთ-ერთი პრიორიტად პროფესიული განათლების ხელშეწყობას ასახელებს. თუ ეს ინიციატივა წარმატებული იქნება, ბევრი დასაქმდება და გარკვეული სერვისების მიღებაც ნერგვის ფასად აღარ დაგვიჯდება. თუმცა, ხისტი მიდგომა „სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებელს გახსნის და ხალხმა აირჩიოს ვინ სად წავა“ აქ არ გამართლებს და გარკვეული დახმარება აქაც იქნება საჭირო.

მაშინ, როგორ შეიძლება დავებმართო მოზარდებს ინტერესებში გარკვევის პროცესში? ყველაფრის სახელმწიფოსთვის და სახელმწიფო ბიუჯეტისთვის დაკისრება რომ თავი დაეხადოს, კერძო სექტორის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წართულობაზე დავფიქრდეთ, წესით, შედეგი უფრო სწრაფი და ეფექტიანი უნდა იყოს. ველოსიპედის გამოგონება არ დაგვჭირდება, გამოცდილება შეიძლება იმ ქვეყნებშიც მოვიძიოთ, სადაც ცხოვრებას ცოტა უფრო რეალისტურად უყურებენ და რესტორანში მიმტანობა და მაღაზიაში კონსულტანტობა ადგილობრივებს არც ეთაკილებად და დროებით სამუშაოდც არ წარმოუდგენიათ.

ერთი ასეთი მაგალითი: გერმანულ Bayrisches Rundfunk-ს აქვს საინტერესო პროექტი „Ich mach's“: 15 წუთიან ვიდეოკლიპებში აღწერილია სამასამდე პროფესიის ყოველდღიურობა: რისი კეთება უხდებათ და რა სირთულეების გადალახვა უნევთ კონკრეტული პროფესიის ადამიანებს; რა უნარები და ზოგიერთ შემთხვევაში ფიზიკური მონაცემები არის საჭირო პროფესიის დასაუფლებლად. ყველასათვის ნაცნობი პროფესიების გარდა (პოლიციელი, ექიმი) აქ ბევრი ისეთი პროფესიაცაა აღწერილი, რომლის შესახებ მოზარდს ალბათ არასოდეს გაუგია. ძირითადად, პროფესიები იმ ახალგაზრდების მაგალითებითაა განხილული, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში თუ კერძო კომპანიებში სკოლის დამთავრების შემდეგ პროფესიებს ეუფლებიან. ზოგიერთი, ამ სწავლის პროცესში შეიძლება უნივერსიტეტამდეც მიიყვანოს და იქ გაიდრამავოს ცოდნა. თუმცა, უმრავლესობას უმაღლესი განათლება არც დაჭირდება.

მსგავსი საინფორმაციო პროექტი მნიშვნელოვნად დაეხმარება ახალგაზრდებს პროფესიის განსაზღვრაში. კერძო სექტორიც და საჯარო სექტორიც მნიშვნელოვნად იხიერებენ თუ ადამიანებს, რომლებიც მათთან მივლენ სწორი მოლოდინები ექნებათ. რაც მთავარია, სხვადასხვა პროფესიების შესახებ თეორიული ინფორმაციის მიღების და ტესტების შევსების ნაცვლად, რაც პრაქტიკის შესახებ ძალიან ბუნდოვან წარმოდგენას უქმნის გამოუცდელ თინეიჯერს, ასეთი ვიდეო-კლიპები აჩვენებს სამუშაო ადგილებზე არსებულ ყოველდღიურობას.

და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მივცით საშუალება ჩვენს შვილებს, რომ სრულფასოვან ადამიანებად გაიზარდონ. ჰქონდეთ თავიანთი შეხედულებები, ღირებულებები, პრინციპები. ნუ ჩაპყლავთ მათში ინფორმაციული უაზრობა, ნუ გადაწყვეტთ მათ მამიკრამ რა ჭამონ, რა ჩაიცვან, რა ისწავლონ და რა გზით განვითარდნენ. მივცით საშუალება, რომ თავის თავი თავად ეკუთვნოდეთ, აირჩიონ პროფესია, რომელიც მათაც გააბედნიერებთ და საზოგადოებასაც სიკეთეს მოუტანს. ჩვენმა შვილებმა ცხოვრებაში უნდა მიიღონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები და აიღონ სრული პასუხისმგებლობა საკუთარ გადაწყვეტილებაზე, ვინაიდან ცოცხალ არსებებს, რომლის ამ თუ იმ ქმედების განმსაზღვრელი ერთადერთი ფაქტორი „საზოგადოება-ჯი“ ანუ გარემოა და მის აზრზე და მოქმედებაზე, შეუძლებელია უნდოდო ინფორმაცი ან პირვნება.

მომზადდა
სათუნა ბენაშვილი

8 მარტი ქართული გაზეთის დღეცაა

1819 წლის 8 მარტს თბილისში ხალისუფლებას მიერ პირველი ქართული, ყოველკვირეული გამოცემა "საქართველოს გაზეთი" დაარსდა, რომელიც, შემდგომ, 1820 წლიდან გამოდიოდა „ქართული გაზეთის“ სახელწოდებით. ამ იბაჭებოდა ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობების ბრძანებები, განკარგულებები, სტატიები რუსეთისა და საქართველოს საზღვარგარეთში, საზღვარგარეთის ამბები, მოთხრობები, ანგლოზები, კროსმორები, განცხადებები და სხვა მასალა, რომელიც შესანიშნავად ასახავდა იმ პერიოდის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებას. ტირაჟი დაახლოებით 150—200 ცალი იყო. გაზეთი ამ სახელწოდებით დაიხსრა 1821 წელს, მას მერა კი, არც მითი, არც ნაკლები, ორი საუკუნე გავიდა.



განვიღო ასწლეულებში ბეჭდურმა მედიამ უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი სახელმწიფოს განვითარების და წინსვლის საქმეში. იგი არათუ ფენს უწყობდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, არამედ პოზიტიური გავლენების ნამყვანი როლიც ეკავა საზოგადოებაში. გასული საუკუნის 70-იან წლებში კი, არ იქნება ხმაბლად ნათქვამი, თუ ვიტყვით, რომ საერთოდ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ამინდაც მთლიანად ქმნიდა ქვეყანაში. დღეს სრულიად განსხვავებული ვითარება ამ კუთხით. მე-

დიის დამოუკიდებლობა, ცენზურა და თვითცენზურა, ობიექტური და მიუკერძოებელი ინფორმაცია, ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა, ფინანსების სიმწირე და გამჭვირვალობა, არაპროფესიონალიზმი - ეს ის პრობლემებია, რომლებიც დღეს საქართველოში მედიის წინაშე დგას.

კარგია, როცა მედიასაშუალებების სიჭრელე საზოგადოების სხვადასხვა ინტერესს აკმაყოფილებს, მაგრამ ეს კიდევ ერთ სერიოზულ პრობლემას ქმნის - საზოგადოების დაყოფას უწყობს ხელს. ორპოლუსიანი საზოგადოება ქვეყნის მომავალს კარგს არაფერს უქადის. "ჩვენები" და "ისინი" - "დაყავი და იბატონეს" პრინციპს რომ ესადაგება, ურთიერთდაპირისპირებას კიდევ უფრო ამძაფრებს.

მოსახლეობამ აღარ იცის, რომელ მედიასაშუალებას ენდოს. ეს კი მედიის განვითარებას ხელს უშლის. მათ შორის ჟურნალისტიკის, როგორც ობიექტური პროფესიის მიმართ დამოკიდებულება იცვლება. მედიას კი, ოცდამეერთე საუკუნეში ბრძოლა უწევს ცენზურასა და ობიექტურობას შორის არჩევანის გაკეთებაში.

ერთი მხრივ ცენზურის წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრივ სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლა საუკუნეებს ითვლის. ცენზურის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი და ცნობილი შემთხვევა ფილოსოფოს სოკრატეს საქმიანობას უკავშირდება, რომელსაც ძვ.წ.აღ. 339 წელს მისი თანამედროვეობის მორალური და პოლიტიკური კოდექსის წინააღმდეგ ახალგაზრდა თაობაში გავრცელებული მოსაზრებების გამო სანამლაგით სიკვდილი მიესაჯა.

XV საუკუნეში, ბეჭდური პრესის გამოგონებამ ეკლესიის დღის წესრიგში დააყენა ცენზურის გაზრდის საჭიროება. დოგმატიკის გასავრცელებლად ნაბეჭდ მასალას წარმატებით იყენებდა როგორც კათოლიკური, ისე პროტესტანტული ეკლესიები. მაგალითად, პაპმა პავლე IV-მ 1559 წელს პირველად გამოაქვეყნა აკრძალული წიგნების სია. კათოლიკური სამყაროს მიერ აკრძალულად გამოცხადებულ წიგნებზე ხელმისაწვდომობას ეკლესია უნივერსიტეტების კონტროლით ებრძოდა.

1766 წელს შვედეთმა გააუქმა ცენზურა და გახდა პირველი ქვეყანა, რომელიც კანონით იცავდა პრესის თავისუფლებას. ამაში კი განმანათლებელმა მოაზროვნემ და ლიბერალმა პასტორმა, ანდრეს კიდენიუსმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმდენად, რამდენადაც სწორედ მისმა იდეებმა იქონია გავლენა შვედეთის პარლამენტზე, რომელმაც „პრესის თავისუფლების აქტი“ მიიღო. აღნიშნული აქტი დღეს ითვლება პირველ კანონად ინფორმაციის თავისუფლების შესახებ. პარლამენტის გადაწყვეტილებით, ყველა სახის პრესაზე მოიხსნა ცენზურა, მათ შორის, საზღვარგარეთიდან შემოტანილზე. ამასთანავე, ამავე აქტის მიხედვით, უზრუნველყოფილი ხდებოდა მთავრობის მიერ შექმნილ დოკუმენტებზე წვდომა. 1809 წელს შვედეთში უკვე ახალი კონსტიტუცია მიიღეს, რომელშიც 1766 წლის აქტის მთავარი პრინციპები იყო შესული. კიდენიუსის მემკვიდრეობამ მალევე აღიარება ჰპოვა მთელს მსოფლიოში, დღესდღეობით კი ინფორმაციის თავისუფლების უფლება საერთაშორისო სამართლის ნაწილია. 1770 წელს იგივე ნაბიჯი გადადგეს დანიამ და ნორვეგიამ, 1787 წელს კი ამერიკის კონსტიტუციაში შევიდა პირველი შესწორება, რომლის მიხედვით ასევე დაცული იყო სიტყვისა და პრესის თავისუფლება. მე-19 საუკუნიდან მსოფლიოში უკვე დამოუკიდებელი პრესაც გაჩნდა, რაც იმ დროის რუსეთის იმპერიასა და მის შემადგენლობაში მყოფ საქართველოზე მნიშვნელოვნად აისახა. დღეს ჩვენს ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებას 30 წლიანი დამოუკიდებლობის ისტორიაში ვერავინ და ვერავითარი ძალა ვეღარ დაუდგება წინ ვერც სატელევიზიო სივრცეში და ვერც ბეჭდურ მედიაში, ის თაობების ბრძოლის შედეგადაა მოპოვებული და ამ მონაპოვარს აღარასდროს დაკარგავს ხალხი. მთავარია, საზოგადოებისთვის მინვდილი მასალა ყოველთვის იყოს საინტერესო, პროდუქტიული და მიმდინარე მოვლენების რეალურად ამსახველი.

ბეჭდური მედია, ისევე, როგორც ელექტრონული, მხოლოდ სანდო და გადამონმებულ ინფორმაციას უნდა ავრცელებდეს. მისი მთავარი მოვალეობა ხომ ინფორმაციის გავრცელება და არა მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა. რაც შეეხება ე.წ. ჭორებს, ამისთვის არსებობს სხვა, არა აკადემიური გამოცემები და მათ ყვითელი პრესის სახელით იცნობს მსოფლიო საზოგადოება.


კომპიუტერის და ინტერნეტის გაჩენამ წიგნის გარეშე დარჩენის წინაშეც დააყენა ბევრი, მაგრამ ეს შიში არ გამართლდა. მსოფლიოს ნამყვანი ქვეყნებში ბეჭდური მედია კვლავ უწყვეტად გამოცემა და ისეთივე მოთხოვნადია, როგორც ადრე.

მაგალითად, ცენტრალური გერმანული გაზეთის "ფრანკფურტე ალემანინე ცაიტუნგის (დღეისათვის FAZ-ის) ბეჭდური გამოცემის ტირაჟი 240.000 -მდე ეგზემპლარია, ხოლო ონლაინ ფორმატთან ერთად ამ გაზეთის მკითხველთა რაოდენობა მილიონამდეა.

დასასრულს, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში ჟურნალ-გაზეთებს გაქრობა არ ემუქრება. ამის თქმის საშუალებას ქართული გაზეთების რედაქტორების შეფასებები იძლევა, ხოლო სტატისტიკა გვარწმუნებს, რომ პრესას ყოველთვის ეყოლება საკუთარი მკითხველი.

მოამზადა ელზა ხარაშვილი

კ რ ო ს ვ ო რ დ ი



შპრპულად: 1.რომელი ნელეულისგან იღებენ ქალაღს 2.პარაზიტი ჭია ადამიანის ნაწლავებში 3.კლანეტა ვენერას ძველი სახელწოდება 4.მწიგანი სეკრეტის ჯირკვალ, რომელიც მოთავსებულია თავის ტვინის ფუქსთან და გველენას ახდენს ორგანიზმის ზრდაზე 5.დონ კიხოტის ცხენი 6.სომხეთის დედაქალაქი 7.თვალის ფერადი გარსის ანთება 14.ხილის რბილობი არის ცრუ ნაყოფი. რა არის ნამდვილი ნაყოფი 15.ფური პირველი ხბოს მოგებად 16.რა არ აქვს თეთრ ლექსს 17.ინგლისის პრემიერ-მინისტრი, რომელმაც ბიძგი მისცა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ "ცივი ომის" განაღებას 18.ხელოვნური პოეტო. ერთდროულად მიიღეს ნიუ-იორკში და ლონდონში, რაც აისახა სახელწოდებაზე 20.ფრინველი - ახალი ზელანდიის სიმბოლო 21.იტალიური ცეცხლსასროლი იარაღი. უწოდეს კონსტრუქტორის სახელი 24.მხატვარი ... ოქროპირი 27.სპარტანელების დევიზი: "ფართო, ... ფარზე"

თარაზულად: 4.გზებისა და ვაკრობის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში 8. ტემპერატურული სკალა 9.ვინ ჩატარა პირველად ცოფის საწინააღმდეგო აცრები 10.თოჯინა, რომლის მამას, კარლო კოლოდის პატივსაცემად ალექსეი ტოლსტოიმ კარლო უწოდა 11.საკანცელარო ნივთი, რომლის სკულპტურა აღმართეს ვაშინგტონში თეთრი სახლის წინ 12.მაღალმოლეკულური ნაერთი, რომელიც მონიშნებისგან შედგება 13.პატარა აეროსტატი. რომლის შემეგობით ატმოსფეროს ზედა ფენებში მეტეოროლოგიურ მონაცემებს იწერენ 15.ხე, რომლის ქერქი სანელებლად გამოიყენება 19.რეპტილია ფრანგულ კულინარიაში 20.ფრანგული ბაღები - შადრევანი, ინგლისური ბაღი - ველური ტყე, იაპონური ბაღი - ქვები, იტალიური ბაღი - ... 22.ტერმინი, რომელიც ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში ნიშნავს "სულის განწმენდას" 23.რომეოსა და ჯულიეტას ქალაქი 25.ქედი რუსეთში, რომელზეც გადის წარმოსახვითი საზღვარი ევროპასა და აზიას შორის 26.მდინარე, რომელიც ლაპტევის ზღვაში ჩაედინება 27.მარჯნის კუნძული 28.ზამბახი 29.მამული, ..., სარწმუნოება

ს ს მ რ ტ ი

ნიკოლოზ ბასილაშვილმა როჯერ ფედერერი დაამარცხა

საქართველოს პირველმა ჩოგანმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა დოჰჰას 250-ქელიანი ტურნირის მეოთხედფინალში ლეგენდარული შვეიცარიელი ჩოგბურთელი როჯერ ფედერერი სამ სეტში დაამარცხა. პირველი სეტი ფედერერმა 6:3 მოიგო, მეორე ბასილაშვილმა 6:1, გადამწყვეტ სეტში კი ნიკოლოზ ბასილაშვილმა 7:5 იმარჯვა. შეგახსენებთ, ხუთმატირანი ნაგებათა სერიის შემდეგ ნიკოლოზ ბასილაშვილმა ტურნირზე ავსტრალიელ ჯონ მილმანს (6:4, 6:2) და ტუნისელ მალექ ჯაზირს (6:2, 6:2) სძლია.



მეუღლე ვალია; შვილები: ნინო, თამარი, ლევანი, ნიკო; შვილიშვილები: სერგი და ნინო ფიროსმანაშვილები, თეონა, ანი მილაშვილები; შვილეთაშვილები: ქეთი, დავითი, ზაზა ხიხაძეები, ლევან ჯანიაშვილი; სიძეები: ზაზა მილაშვილი, ბესო ჩოფიკაშვილი, ბექა ჯანიაშვილი; რძლები: ეკა მთიულიშვილი, თამუნა ზუბიაშვილი იუნყებანი
სარგო (პეტო) ლევანის ძე ფიროსმანაშვილის გარდაცვალებას. დაიკრძალა 9 მარტს სოფელ გამარჯვებაში.

თოვს, მარტმა ამინდი არია...

გაზაფხულია. მარტის თვე იზიარებს ქალვამა. ნუშიც აყვავდა. აბივს კვირტები მოსკლათ და აყვავებას აპირებდნენ. მაგრამ საუბიომ ჩაცმულოვა და განწყობაც მოულოდნელად მოსულმა თოვლმა ჩაუბნარათ.

„თოვს, მარტმა ამინდი არია“ - ამეკვირბა ჰოეტიტის ცნოზილი სტრიქონეზი.

თოვს, ლამაზია თეთრად გადაანტილი არეზარე, მაგრამ გაზაფხულს აყვავებული რტოვი და ყვავილეზის სურნელი უფრო მეტად უხლავა.

უხვმა ნალექმა პრობლემებიც მოიტანა. 11 მარტს, საღამოს, ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დიდ ნაწილს.

12 მარტს მოსულმა ასევე უხვმა ნალექმა მოძრაობა არაერთ საერთაშორისო მნიშვნელობის გზაზე შექმნა. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ინტენსიური თოვის და ლიპყინულის გამო, საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-5) თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ20-კმ90 მონაკვეთზე აიკრძალა მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალი იყო. გზის დანარჩენ მონაკვეთებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა მალევე აღდგა და გზათავისუფალდა.



გ ა ი ღ ი მ ე თ !



ცნობილია, რომ კონია საკმაოდ ხელმომჭირნე კაცი იყო. ერთხელაც ერთმა ტაქსის მძღოლმა, რომელსაც კონსტანტინემ მას ზედმეტი არ გადაუხადა, ვითომ მისი ძერცხვენა გადაწყვიტა და ასე უთხრა: აქ, ამ სახლში ერთი ახალგაზრდა კაცი მომყავს

ხოლმე (ე.ი. ზვიადი) და ყოველთვის კარგად მიხდისო, - იმას მამა აკადემიკოსი ჰყავს და მე სანყალი კი ობოლი ვარო, მიახალა თურმე კონსტანტინემ ტაქსის მძღოლს.

„ერთს უთქვამს: -ბატონო კონსტანტინე,

გვერდნითელმა გაგაკრიტიკათო, - სულმთლად ნითლებმა რა დამაკლეს და გვერდნითელმა რა უნდა მავნოსო, - უპასუხია კონსტანტინე გამსახურდიას.

მოამზადა ნანა ჭიჭინაძემ

იყიდება!

იყიდება 29 ოჯახი ფუტკარი ვაგონთან ერთად. ფუტკარი კარგ მდგომა-რეობაშია. მისამართი დედოფლისწყარო. ტელ: 595 12 43 12

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 15.03 დღე ლაგვი	სამშაბათი 16.03 დღე ლაგვი	ოთხშაბათი 17.03 დღე ლაგვი	ხუთშაბათი 18.03 დღე ლაგვი	პარასკევი 19.03 დღე ლაგვი	შაბათი 20.03 დღე ლაგვი	კვირა 21.03 დღე ლაგვი
5°	-2°	10°	13°	11°	11°	12°
-2°	0°	2°	2°	1°	1°	2°

<p>გამომცემელი შპს „შირაპი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავებს ავტორი.</p>	<p>სარედაქციო კოლეგია: შუშუშუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქინძაძე (დისტრიბუტორი); . გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაპის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.</p>	<p>REDAQIIS MSAMRTIA: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-87; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)</p>	<p>რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.</p>
---	---	--	--